

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 13

ქ.თბილისი

2020 წლის 26 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 26 ოქტომბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარინანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის მ. გოგუაძის ოქმი და საითინგი, მთავარი მსაჯის ა. იაშადაშვილის წითელი ბარათის ოქმები და მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 22 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, თბ „ხვამლი 2“-სა და რუსთავის „ხარები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ალექსი ზაზაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ლუკა მოსიაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ალექსი ზაზაძე, წითელი ბარათის მიღებისთვის ავტომატურად გამოტოვებს მომდევნო სათამაშო კვირას.
2. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე ლუკა მოსიაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/